

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2009 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" (შემდგომში მაუწყებლის) სამეურვეო საბჭო წარმოადგენს მაუწყებლის 2009 საქმიანობის ანგარიშს.

ცვლილებები მაუწყებლის პროგრამირების პოლიტიკაში

პროგრამები

2009 წელს მაუწყებელში შეიცვალა გენერალური დირექტორი, რომელმაც გუნდთან ერთად დაიწყო მაუწყებლის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება. დაწყებულია და მიმდინარეობს მაუწყებლის პროგრამების შინაარსის შესაბამისობაში მოყვანა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამულ პრიორიტეტებთან. მაუწყებლის სატელევიზიო ბადიდან ამოღებულია გასართობი ხასიათისა და საექვო მხატვრული ხარისხის მქონე პროგრამები ("კაბარე ხუთი ვარსკვლავი", "ერისთავის სათვალე" და სხვა). პროგრამულ ბადეში გაჩნდა ტელეფილმების სტუდიის მიერ მომზადებული, მაღალი სატელევიზიო სტანდარტების მქონე ქართული კინოდოკუმენტალისტიკა, რომლის პროდუქციამ უკვე მოიპოვა წარმატება და საერთაშორისო აღიარება (ფილმი ევროპის ბირთვული კვლევების სააგენტოში ამოქმედებული დიდი ადრონული კოლაიდერის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო მეგაპროექტის საიმჯო ფილმად იქცა). მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მაუწყებლობის შემეცნებითი და საარქივო მიმართულება ("დამის საუბრების" აღდგენილი პროექტი, პროექტი "ჩემი ქუჩა", "ტელემეხსიერება" და სხვა). ძლიერდება სოციალური მიმართულება: არსებულ პროექტს ("ცხოვრება მშვენიერია", წამყვანი ნ.ქაჯაია) ემატება ახალი მასშტაბური პროექტი "აუდიტორია" (წამყვანი ე.ხოფერია). მიღწეული წარმატებების მიუხედავად მაუწყებლის პროგრამული ბადისათვის პრობლემად რჩება ჟურნალისტური გამოძიების შინაარსის მქონე ხარისხიანი პროგრამის არქონა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების გაუმჯობესების მიმართულებით. მთლიანად შეიცვალა საინფორმაციო პროგრამა "მოამბის" ვიზუალური (ამ თვალსაზრისით "მოამბე" ქართლი საინფორმაციო სივრცის ერთ-ერთი ტექნოლოგიური ლიდერია) და შინაარსობრივი მხარე. დღესდღეობით "მოამბე" წარმოადგენს კრიტიკულ, მწავავე სოციალურ და პოლიტიკურ თემატიკაზე ორიენტირებულ სიუჟეტებს. მისი ორიენტაცია ჩვეულებრივი რიგითი ადამიანების პრობლემების წარმოჩენასა და მათ განზოგადებაზე, ინფორმაციის მიუკერძოებელი და ბალანსირებული მიწოდება დადებითად ფასდება, როგორც მაყურებლის (რეიტინგის 4-ჯერადი ზრდა), ასევე საერთაშორისო მონიტორების მიერ (ევროკავშირის პროექტი: BBC -ის სპეციალისტების მონიტორინგი და თრეინინგი 2009-2010 წლებში). სპეციალურად უნდა აღინიშნოს პროექტი "მოამბე-რეგიონები", რომელიც მიმართულია რეგიონებში მიმდინარე პროცესების ასახვისა და კრიტიკული შეფასებისაკენ. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მაუწყებლობაში შენარჩუნდა და გაძლიერდა პოლიტიკური თოქ-შოუების (დ.პაიჭაძე, ე.კვესიტაძე) მიმართულება, რომელსაც 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების წინა პერიოდში დაემატა თოქ-შოუ "მოამბე+" (ე.მიშველაძე). იგეგმება წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ტელეპროექტი (ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა, წამყვანი ნ.სორდია). საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გაფართოვებას

ემსახურება წარმოებაში მყოფი ახალი პროექტი "ვახო სანაიას რეპორტაჟი", რომელშიც აისახება აუდიტორიისათვის ნაკლებად ცნობილი და საინტერესო პოლიტიკური და სოციალური მოვლენების ანალიზი.

მეორე არხი

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა განახორციელა პოსტსაბჭოთა სივრცისათვის უნიკალური პროექტი - მეორე სატელევიზიო სამაუწყებლო არხის ბაზაზე შეიქმნა საპარლამენტო-პოლიტიკური არხი, რომლის მიზანია საზოგადოებაში პოლიტიკური კულტურის ამაღლების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების უკომენტაროდ, სრული ფორმატით ჩვენებისა და პოლიტიკური სუბიექტების საზოგადოების წინაშე საჯარო ანგარიშვალდებულების ფორმით.

არხის გაშვებას წინ უძღოდა კონსულტაციები პოლიტიკურ პარტიებთან ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მონაწილეობითა და პატრონაჟით. კონსულტაციების შედეგად ხელი მოეწერა მემორანდუმს პოლიტიკურ პარტიებსა და მაუწყებელს შორის, რომელიც განსაზღვრავს მაუწყებლისა და პარტიების ურთიერთვალდებულებებს. არხის სამაუწყებლო ბადეშია პარლამენტის პლენარული სხდომებისა და საპარლამენტო კომიტეტების მუშაობის პირდაპირი ტრანსლაცია, 20-მდე წამყვანი პოლიტიკური პარტიის მიმდინარე აქტივობების (ბრიფინგები, აქციები, შეხვედრები - დღეში 10-მდე აქტივობა) ყოველდღიური სრული გაშუქება, პარტიების ყოველდღიური პირდაპირი ერთსაათიანი ეთერი, რომელიც უზრუნველყოფს მათ პირდაპირ, უშუალო კომუნიკაციას ელექტორატთან.

იგეგმება სპეციალური საეთერო ზოლის შექმნა ადმასრულებელი ხელისუფლების (მინისტრები, გუბერნატორები, მერები) წარმომადგენლების საჯარო ანგარიშვალდებულებისათვის მოქალაქეების წინაშე. ასევე, დაგეგმილია ყოველკვირეული ტელედებატების ორგანიზება პარლამენტში განხილვის პროცესში მყოფი კანონპროექტების მოსახლეობისათვის უკეთ გაცნობის მიზნით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პარტიების წარმომადგენლები და ექსპერტები. არხმა უკვე მოიპოვა პოპულარობა და დაიმსახურა აუდიტორიის, პოლიტიკური პარტიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალი შეფასება.

პირველი კავკასიური არხი (ПЕРВЫЙ КАВКАЗСКИЙ)

საანგარიშო პერიოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროგრამული სიახლეა რუსულენოვანი პირველი კავკასიური არხი, რომლის მიზანია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებზე მაუწყებლობა და სრული, მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელება საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. არხთან თანამშრომლობენ ცნობილი რუსი ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები (ო.პამფილოვი, ვ.ნოვოდევორსკაია, ა.ბოროვოი, ო.ბაბიცი და სხვები). ეთერში გასვლისთანავე არხმა მოიპოვა პოპულარობა რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. არხის ამოქმედებას განსაკუთრებული რეზონანსი ჩრდილოეთ კავკასიაში მოყვა, ვინაიდან არხის საინფორმაციო გამოშვებებში გაჩნდა რეგიონში მიმდინარე უმწვავესი პროცესების ამსახველი, ადგილზე დამზადებული რეპორტაჟები (არხს აქვს საკუთარი საკორესპონდენტო ქსელი მახაჩყალაში, გროზნიში, ვლადიკავკაზში, ნალჩიკში). სამწუხაროდ, არხის ამოქმედებიდან ერთ კვირაში ფრანგულმა სატელევიზიომა ოპერატორმა „ეუტელსატმა“ რუსული მხარის ჩარევით დაარღვია მაუწყებელთან დადებული ხელშეკრულება და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების პრონციპის დარღვევით ცალმხრივად შეაჩერა არხის გავრცელება. ამ ფაქტთან დაკავშირებით მაუწყებელმა აღძრა სარჩელი პარიზის კომერციულ სასამართლოში, სადაც საქმის განხილვა მიმდინარე წლის მაისში დასრულდება. სასამართლოს განაჩენამდე არხი ვებმაუწყებლობას განაგრძობს.

საქართველოს ენებზე მაუწყებლობა

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა საქართველოს ენებზე მაუწყებლობის მიმართულებით. 2010 წლამდე მაუწყებლობა ხორციელდებოდა დღის ეთერში თითოეულ ენაზე კვირაში ერთხელ საინფორმაციო დაიჯესტის ფორმით. მაუწყებლის მიერ განხორციელდა სოციოლოგიური კვლევა, რომელმაც გამოავლინა ამ სექტორის არაეფექტურობა (მოუხერხებელი საეთერო დრო და ინფორმაციის მიწოდების მიუღებელი სიხშირე). კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ეთნიკური უმცირესობების არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოსთან და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შეთანხმებით მაუწყებელმა დაიწყო თვისობრივად ახალი პროექტი, რომლის ფარგლებში სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და აფხაზურ ენებზე ახალი ამბების მიწოდება სამიზნე აუდიტორიისათვის ხორციელდება ყოველდღიურად ოთხი რეგიონული ტელეარხის (მარნეული, ახალქალაქი, გორი და ზუგდიდი) ეთერით 20:00-22:00 საათზე, პირველი არხის ეთერით 07:00-08:00 საათზე და მეორე არხის ეთერით 09:00-10:00, 22:00-23:00 საათებზე.

შესაბამისად, პროექტმა მთლიანად მოიცვა სამიზნე აუდიტორია და სრულად დააკმაყოფილა მისი საინფორმაციო მოთხოვნილება. მეორე ეტაპზე იგეგმება მაუწყებლის იმ პროგრამების გახმოვანება საქართველოს ენებზე, რომლებიც სამიზნე აუდიტორიის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

რადიომაუწყებლობა

საზოგადოებრივ რადიოში დაიწყო ფუნდამენტური სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების განხორციელება, რომლის მიზანია პირველი ნაციონალური რადიოს პოპულარობის აღდგენა და მისთვის ლიდერის პოზიციის დაბრუნება. ახალი ეთერის გაშვება იგეგმება 2010 წლის 23 მაისს, საქართველოს რადიოს (ახალი ბრენდი „რადიო-1“ და „რადიო-2“) დაბადების 85-წლისთავისათვის. პროგრამირებაში აქცენტი კეთდება საზოგადოებრივი რადიოს, როგორც „მოლაპარაკე რადიოს“ პოზიციონირებაზე, რომლის ეთერში უპირატესობა ენიჭება თოქშოუებს მსმენელების მძლავრი ინტერაქციით, თემებისა და წამყვანების მრავალფეროვნებით.

ცვლილებები ორგანიზაციის მართვაში

სამეურვეო საბჭო

2009 წელს სამეურვეო საბჭოს სოციალური და პოლიტიკური ბაზის გაზრდის მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის საფუძველზე გაიზარდა სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა (9-დან 15-მდე) და რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საზოგადოებრიობის ძირითადი პოლიტიკური ორგანიზაციების ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლები. თუმცა, საბჭოს კომპლექტაციის წესი მოითხოვს შემდგომ დახვეწას საკანონმდებლო ცვლილებების გზით. საბჭო აწარმოებს კონსულტაციებს საერთაშორისო გამოცდილების უკეთ გაცნობის მიმართულებით და 2010 წლის შემოდგომისათვის საზოგადოებასა და პარლამენტს შესთავაზებს საკუთარ შეჯერებულ მოსაზრებას საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს კომპლექტაციის წესისა და მისი როლის შესახებ.

სამეურვეო საბჭო ფუნქციონირებს ყოველკვირეულ რეჟიმში და იხილავს მაუწყებლის წინაშე მდგარ ყველ მნიშვნელოვან პრობლემას. მნიშვნელოვან სიახლეს და არსებითად პრეცედენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაიწყო სამეურვეო საბჭოს სხდომების სრული ვიდეოჩანაწერების

განთავსება მაუწყებლის ვებგვერდზე. ამ ნაბიჯით საბჭომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა თავისი საქმიანობის გამჭვირვალობის მიმართულებით.

მენეჯმენტი

როგორც აღინიშნა, 2009 წლის აგვისტოში შეიცვალა ორგანიზაციის მენეჯმენტი, რომელიც ცდილობს ორგანიზაცია გადაიყვანოს მართვის ახალ, თანამედროვე ფორმებზე. კერძოდ, დაწყებული მუშაობა მართვის საპროექტო სისტემის დანერგვაზე, მკვიდრდება მართვის კოლექტიური სისტემის (დირექტორთა საბჭო) ფორმა.

თუმცა, პოზიტიურ მომენტებთან ერთად აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში სუსტია ანგარიშგებისა და სტრატეგიული (მათ შორის - ფინანსური) დაგეგმვის პოლიტიკა, რაც ორგანიზაციას საშუალებას არ აძლევს იმუშაოს რიტმულად და მაქსიმალური ეფექტურობით. სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი ორგანიზაციის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიმართულებით. ორგანიზაციამ გაცილებით ინტენსიურად უნდა იმუშავოს საგრანტო პროექტების ფანდრაიზინგის მიმართულებით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ორგანიზაციის ბიუჯეტი

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

მაუწყებელმა 2009 წელს მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტექნიკური მიმართულება: შეძენილია ახალი სამაუწყებლო ტექნიკა და თანამედროვე სოფტები. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მთლიანადაა ორიენტირებული სამაუწყებლო სისტემების ახალ ციფრულ ფორმატში (HD) გადაყვანაზე. ამ ფორმატზე გადასვლა აუცილებელია 2015 წლამდე, რათა მაუწყებელმა შეასრულოს ევროკავშირის წინაშე აღებული შესაბამისი ვალდებულებები.

ამ მიმართულებით მაუწყებლისათვის სერიოზულ პრობლემად რჩება გადამცემების მოქმედი, ამორტიზებული და მორალურად გაცვეთილი პარკი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მაუწყებლის პირველი სამაუწყებლო არხის სიგნალით საქართველოს ტერიტორიის სრულად მოცვას (მეორე არხის სიგნალი მხოლოდ თბილისში ვრცელდება). სრულიად აუცილებელია პარკის განახლება ახალი ტრანსმიტერული ე.წ. ჰიბრიდული სისტემებით, რომლებიც საშუალებას იძლევა 2015 წლამდე გადასცენ სიგნალი ანალოგური, ხოლო 2015 წლიდან ციფრული ფორმით.

საანგარიშო პერიოდში დაწყებული და წარმატებით მიმდინარეობს მაუწყებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული ინვენტარიზაცია, რაც ორგანიზაციის საქმიანობაში ტრადიციულ „აქილევსის ქუსლად“ რჩებოდა.

სერიოზულ, ინსტიტუციურ პრობლემად რჩება მაუწყებლის შენობა ნაგებობების ავარიულობა, რაც გვაიძულებს მთელი სერიოზულობით დავაყენოთ ახალი სათაო ნაგებობის მშენებლობის საკითხი.

მაუწყებლის ბიუჯეტი

2009 წელს მაუწყებლის ბიუჯეტმა სახელმწიფო სუბსიდიის ნაწილში 26,5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო საკუთარი შემოსავლები ნაწილში 2,6 მლნ ლარი. ორგანიზაციის ბიუჯეტი არასაკმარისი აღმოჩნდა მაუწყებელში დაწყებული ტექნიკური გადაიარაღებისა და ახალი პროექტების (მეორე და პირველი კავკასიური არხები) სრულად მოსამზადებლად, რის გამოც ორგანიზაციის ნორმალურად ფუნქციონის უზრუნველსაყოფად მაუწყებელმა აიღო კომერციული სესხი კორსტანდარტბანკიდან 2 მლნ ლარის ოდენობით.

პრობლემა წარმოქმნა მაუწყებლის ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების არასტაბილურობამ. კერძოდ, 2008 წლის მარტამდე მაუწყებლის

საბიუჯეტო სუბსიდიის ნაწილი ფორმირდებოდა მშპ-ის 0,15%-ის ოდენობით. 2008 წელს განხორციელებულმა ცვლილებამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის ფორმირება გაუთანაბრა სხვა საჯარო ორგანიზაციების ბიუჯეტების პროცესს, რაც უარყოფითად აისახა მართვის ოპერატიულობაზე და მაუწყებლის, როგორც დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის გამტარებელი მედიუმის იმიჯზეც.

2009 წლის მიწურულს პარლამენტი მზად იყო დაბრუნებოდა ძველი საკანონმდებლო ნორმის აღდგენას, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა მზად მაუწყებლის დაფინანსება იმავე პარამეტრებში (მშპ 0,15%) აღედგინა და საბოლოო პარამეტრად მშპ 0,12% განისაზღვრა. სწორედ აღნიშნულმა სხვაობამ წინასწარ აღებული ვალდებულებების ნაწილში გამოიწვია ბიუჯეტის უარყოფითი სალდო. საზოგადოდ, მიგვაჩნია, რომ გადასახედია მაუწყებლის სუბსიდირების პარამეტრი, ვინაიდან დღევანდელი ტექნოლოგიური გამოწვევების ფონზე ხარისხიანი საერთოეროვნული მაუწყებლობის განხორციელება 3 სატელევიზიო და 2 რადიოარხით ფრიად პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ორგანიზაციის დამოუკიდებელი და შიდა აუდიტი. რაც ყველაზე მისასალმებელია ორგანიზაციის აუდიტის განხორციელება ხუთწლიანი პაუზის შემდეგ დაიწყო კონტროლის პალატამ, რომლის მონიტორინგი მოიცავს 2007-2009 წლებს. ვფიქრობთ კონტროლის პალატის შეფასებები და დასკვნა სასარგებლო იქნება ორგანიზაციისთვის და მისი საქმიანობით დაინტერესებული ყველა მოქალაქისათვის.

დასასრულ, საზოგადოებრივი მაუწყებელი განსაკუთრებული მადლობას უხდის:

- ამერიკის ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტს (NDI) მეორე არხის საპარლამენტო-პოლიტიკურ არხად ფორმირებაში გაწეული დახმარებისათვის;
- ევროკავშირის მისიას საქართველოში და BBC -ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში განხორციელებული უაღრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლო მონიტორინგის და თრეინინგისათვის;
- ევროკავშირის მისიას საქართველოში და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების მედიამონიტორინგის პროექტის განხორციელებაში დახმარებისათვის.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე
ლევან გახელაძე